# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34


## საკრებულოს თავმჯდომარის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №168

6 ივნისი 2014წ.

**კურორტ ბახმაროში, აჭარის ქუჩაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე სააგარაკო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ**

იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქე ზურაბ ლომთათიძეზე (პირადი N01017020004) გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის (მოწმობა N320), საფუძველზე მოხდა კურორტ ბახმაროში, აჭარის ქუჩაზე 100კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრაცია (ს.კ. N28.24.21.046) და იგი გაცემული არ არის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მუხლი 54-ის , გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მოქალაქე ზურაბ ლომთათიძის N1260 (02.02.2014) განცხადების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. მოქალაქე ზურაბ ლომთათიძეს(პ/ნ 01017020004) უარი ეთქვას კურორტ ბახმაროში, აჭარის ქუჩაზე (ს.კ. N28.24.21.046) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე სააგარაკო-საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე–ჭავჭავაძის ქ.N4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*